სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 მაისი, 2024 წ.

ბრძანება № 01-08/374

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,საფინანსო სერვისები" (მე-3 დონე) და ,,სატყეო საქმე" (მე-4 დონე) ზოგიერთი პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2024 წლის 30 აპრილის N483621 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი იქნა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,საფინანსო სერვისები" (მე-3 დონე) და ,,სატყეო საქმე" (მე-4 დონე) იმ მსმენელთა სია, რომლებიც არ გამოცხადდნენ შუალდეურ შეფასებაზე.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საფინანსო სერვისები" და ,,სატყეო საქმე" შუალედური გამოცდის შეფასების კომისიის 2024 წლის 30 მარტის სდომის ოქმების N01 და N02; ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,საფინანსო სერვისები" (მე-3 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) და ,,სატყეო საქმე" (მე-4 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) ადმინისტრირების ჯგუფის შექმნის შესახებ" 2024 წლის 07 მარტის №01-02/30 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,საფინანსო სერვისები" (მე-3 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) და „სატყეო საქმე" (მე-4 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 მარტის №01-02/34 ბრძანების და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2024 წლის 30 აპრილის N 483621 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,საფინანსო სერვისების"

(მე-3 დონე) და ,,სატყეო საქმის" (მე-4 დონე) იმ პროფესიულ სტუდენტთა *(№1 დანართი)* მიმართ, რომლებიც არ გამოცხადდნენ შუალედურ შეფასებაზე (საფუძველი - ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის" მე-5 მუხლი ,,განმეორებითი შუალედური შეფასება").

2. დაინტერესებულ პირებს *(№1 დანართი)* ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ 3 დღის ვადაში წარმოადგინონ ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია) წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით.

3. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2024 წლის 12 მაისის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ასევე განთავსდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა პირად საქმეში.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,საფინანსო სერვისები“ (მე-3 დონე) და ,,სატყეო საქმე“ (მე-4 დონე) ზოგიერთი პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 02 მაისის №01-08/374 ბრძანების

№1 დანართი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,საფინანსო სერვისები“ (მე-3 დონე) და ,,სატყეო საქმე“ (მე-4 დონე) იმ პროფესიულ სტუდენტთა სია, რომლებიც არ გამოცხადდნენ შუალედურ შეფასებაზე (,,განმეორებითი შუალედური შეფასება“)

№	ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი	ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის პირადი ნომერი	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი/ ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის მისამართი
1	ნაბრი მსხალაძე		საფინანსო სერვისები	N01-08/935; 26.10.2023 N20-04/13; 20.10.2023	ბათუმი, იოსებ იმედაშვილის ჩიხი, N 10
2	არჩილ ტაკიძე		სატყეო საქმე	N01-08/935; 26.10.2023 N20-04/69; 23.10.2023	ბათუმი, აეროპორტის გზატ. N 123
3	გოდერძი შაინიძე		სატყეო საქმე	N01-08/935; 26.10.2023 N20-04/74; 24.10.2023	ოზურგეთი დ. ლაითური
4	ავთანდილი მგზავრიძე		სატყეო საქმე	N01-08/935; 26.10.2023 N20-04/66; 24.10.2023	ადიგენი, დ. აბასთუმანი, აღობილის დასახლება